



ბრძანება

N 04/55

01/03/2017

55-01-4-201703011746



**შპს „აიპლუსის“ 2017 წლის 4 იანვრის საჩივრის საფუძველზე მოკვლევის  
დაწყებაზე უარის თქმის შესახებ**

**I. აღწერილობითი ნაწილი**

2017 წლის 4 იანვარს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილ იქნა შპს „აიპლუსის“ (ს/კ.205274148) (შემდგომში - მომჩივანი) №01/01 საჩივარი, რომელიც ეხება Apple-ის ნიშნის გამოყენებით მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის მცდელობას შპს „აიტექნიკის“ (ს/კ. 404900531) (შემდგომში - მოპასუხე) მიერ, რაც მომჩივნის მოსაზრებით, წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11<sup>3</sup> მუხლის სავარაუდო დარღვევას. შესაბამისად, მომჩივანი სააგენტოსაგან ითხოვს სათანადო რეაგირებას. მომჩივანი მხარის განმარტებით, მოპასუხეს ჰქონდა დარეგისტრირებული „ფეისბუქ გვერდი“ iTechnic Apple Store Tbilisi, რომელიც გაუქმდა „ფეისბუქის“ ადმინისტრაციის მიერ და შპს „აიტექნიკმა“ დაკარგა 133 000-ზე მეტი მომხმარებელი, რომლებიც, რეალურად, შპს „აიპლუსის“ პოტენციური მომხმარებლები იქნებოდნენ, რომ არა მოპასუხე მხარის არაკეთილსინდისიერი ქმედებები. ამასთან, მომჩივანი მხარე უთითებს, რომ შპს „აიტექნიკი“ დღესაც აგრძელებს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, რაც გამოიხატება Apple Store-ის სახელის უკანონო გამოყენებასა და შპს „აიპლუსის“ წინააღმდეგ მიმართულ ცრუ კამპანიაში.

სააგენტოს 2017 წლის 5 იანვრის №02/2164 წერილით მომჩივანს ეთხოვა ხარვეზის აღმოფხვრა (საჩივრის ხელმოწერა და მისი წარმოდგენის თარიღის მითითება). ამასთან, მომჩივანისგან - როგორც მხარისგან, რომელსაც გააჩნია მტკიცების ტვირთი - დამატებით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია სავარაუდო კანონდარღვევის შედეგად, მისთვის მიყენებული ზიანის თაობაზე.

2017 წლის 16 იანვრის №01/35 წერილით მომჩივანმა წარმოადგინა შესწორებული საჩივარი, თუმცა, მის მიერ დამატებითი ინფორმაციის სახით, ზიანის შესახებ ინფორმაციის სააგენტოსათვის მოწოდება ვერ განხორციელდა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დანიშნულ იყო საექსპერტო კვლევა. შესაბამისად, მომჩივანი

ითხოვდა აღნიშნული მტკიცებულების წარმოდგენლობის ფაქტის საპატიოდ მიჩნევას სააგენტოს მიერ.

საჩივარზე თანდართული ინფორმაციის, კერძოდ, სატელევიზიო ჩანაწერების გაშიფვრის მიზნით, მომჩივანის მიერ, წარმოდგენილ იქნა დამატებითი ინფორმაცია 2017 წლის 25 იანვრის წერილით. აღნიშნულ ჩანაწერებში, მომჩივანი მხარის შეფასებით, მოპასუხის დირექტორი ავრცელებს ცრუ ინფორმაციას, რომელიც მიმართულია შპს „აიპლუსის“ სახელის გატეხვისაკენ.

2017 წლის 20 იანვრის №02/60 წერილით სააგენტოში წარმოდგენილი საჩივარი გაეგზავნა მოპასუხე მხარეს და ეთხოვა პოზიციის წარმოდგენა.

მოპასუხე მხარე, საკუთარ პოზიციაში (რეგ: N01/102; 06.02.2017) აპელირებას ახდენდა იმ გარემოებებზე, რომ მომჩივანს არ წარმოდგენია შესაბამისი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა შემდეგ ფაქტებს - 1) აიტექნიკში შემოსულ მომხმარებელს უჩნდებოდა განცდა, რომ ის იმყოფებოდა Apple Store-ის მაღაზიაში; 2) აიტექნიკს განეცხადებინოს, რომ ის იყო Apple-ის ოფიციალური წარმომადგენელი და 3) მომჩივან კომპანიას ამით ადგება ზიანი.

სააგენტოს 2017 წლის 17 თებერვლის N02/404 წერილით, შპს „აიპლუსს“ განმეორებით ეთხოვა ინფორმაციის წარმოდგენა სავარაუდო კანონდარღვევის გამო მისთვის მიყენებული ზიანის შესახებ. ასევე, გამოთხოვილ იქნა მონაცემები იმის თაობაზე, არის თუ არა დაცული „Apple“-ის სავაჭრო ნიშანი საქართველოში და რომელი კომპანია წარმოადგენს აღნიშნული სამართლებრივი სიკეთის მფლობელს.

საჩივრის დასაშვებობის შესწავლის პროცესში წამოჭრილი საკითხების დაზუსტების მიზნით, სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს - საქპატენტს ეთხოვა ინფორმაციის მოწოდება იმის თაობაზე, არის თუ არა დაცული საქართველოში Apple Inc.-ის სასაქონლო ნიშანი. საპასუხო პოზიცია წარმოდგენილ იქნა 2017 წლის 23 თებერვლის წერილით (რეგ: N01/228; 27.02.2017) და მოწოდებულ იქნა ინფორმაცია კომპანიის Apple Inc. სახელზე საქპატენტში რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნების შესახებ (ჯამში 331 ნიშანი, მათ შორის არც ერთი არ მიეკუთვნება მომჩივან და მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს).

მომჩივანი მხარის მიერ, 2017 წლის 27 თებერვლის N01/230 წერილით, მოწოდებულ იქნა ინფორმაცია, რომ “Apple Inc.” კუთვნილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნები: IR871151, IR885881 და IR1071173 დაცულია საქართველოში „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმის“ შესაბამისად. რაც შეეხება მონაცემებს ზიანის თაობაზე, მომჩივანი მხარის პოზიციით, დასკვნა ვერ იქნება წარმოდგენილი 2017 წლის 25 მარტამდე.

## II. საქართველოს კანონმდებლობა

### 1. მატერიალური ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-2 მუხლის თანახმად, კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კანონის მე-16 მუხლის თანახმად, კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად იქმნება სააგენტო. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

კანონის მე-17 მუხლით დადგენილია სააგენტოს საქმიანობის პრინციპები, კერძოდ: დამოუკიდებლობა, არადისკრიმინაციულობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მისი გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს.

კანონის 11<sup>3</sup> მუხლის შესაბამისად, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. ამ მუხლის მიზნებისათვის არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს, კერძოდ: ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს; ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა; გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია; დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება; ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება; ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულებელყოფით იმოქმედოს; ზ) ბოიკოტისაკენ მოწოდება.

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების (შემდგომში

„საქმის მოკვლევის წესი“) მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყო საქმის მოკვლევა განცხადების ან საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. ამავე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, განმცხადებელი და მხარეები ვალდებული არიან, სააგენტოს მიაწოდონ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

კანონის 24-ე მუხლისა და საქმის მოკვლევის წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უარს ამბობს განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, მათ შორის, თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი ან საჩივარი არ წარმოუდგენია უფლებამოსილ პირს.

## 2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელმაც საჩივართან ერთად სააგენტოს უნდა წარუდგინოს მტკიცებულებები. მომჩივანი არის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს სააგენტოს. მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო განცხადების ან/და საჩივრის მიღებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სწავლობს განცხადების ან/და საჩივრის დასაშვებობის საკითხს. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სააგენტოს უფლება აქვს, მოსთხოვოს განმცხადებელს ან/და მომჩივანს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარდგენა და განუსაზღვროს მისი წარდგენის ვადა, რაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის შეჩერების საფუძველია.

ასევე, საჩივრის განსახილველად მიღების შემდეგ, სააგენტო ვალდებულია საჩივარი აცნობოს მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს და აძლევს შესაძლებლობას წარმოადგინოს საჩივრის თაობაზე შენიშვნები/მოსაზრებები.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ კანონის დარღვევის თაობაზე სააგენტოსათვის მიმართვის გარეშე. კანონის 27-ე მუხლი ადგენს ამ კანონის დარღვევის თაობაზე დავის ხანდაზმულობის ვადას, რომელიც განისაზღვრება დარღვევის ჩადენიდან არა უმეტეს 3 წლით.

საქმის მოკვლევის წესის მე-6 მუხლით დადგენილია საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, რომლის მიხედვითაც, სააგენტო კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, განცხადების/საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე.

მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

### III. სამოტივაციო ნაწილი

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა განცხადების ან საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ არის განმარტებული გონივრული ეჭვის სტანდარტი. თუმცა, კონკურენციის სააგენტომ საკუთარ გადაწყვეტილებებში ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრისა“<sup>1</sup> და ა(ა)იპ „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“<sup>2</sup> განცხადებებსა და „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივართან<sup>3</sup> დაკავშირებით, განმარტა, თუ რა შემთხვევაში არ მიიჩნევა დაკმაყოფილებულად გონივრული ეჭვის სტანდარტი:

*კონკურენციის სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა განცხადება/საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს.*

*ამასთან, სააგენტო ყურადღებით აფასებს განცხადებაში/საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს განცხადების/საჩივრის დასაბუთებულობას. კერძოდ, თუ რამდენად შეიცავს განცხადება/საჩივარი კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის*

---

<sup>1</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის ბრძანება N25 - გადაწყვეტილება ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ; ხელმისაწვდომია: <http://competition.ge/ge/page4.php?b=368> . ასევე, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 დეკემბრის N 246 ბრძანება - გადაწყვეტილება ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ 2016 წლის 24 ნოემბრის N01/1114 განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ; ხელმისაწვდომია: <http://competition.ge/ge/page4.php?b=496>

<sup>2</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 6 თებერვლის N04/31 ბრძანება - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება ა(ა)იპ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ 2016 წლის 7 დეკემბრის განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ“ ხელმისაწვდომია: <http://competition.ge/ge/page4.php?b=530>

<sup>3</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 23 დეკემბრის ბრძანება N241 - გადაწყვეტილება შპს „სიტროენ ჯორჯიას“ 2016 წლის 9 ნოემბრის საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ; ხელმისაწვდომია: <http://competition.ge/ge/page4.php?b=493> .

მტკიცებულებებს და რომელი ზიანის თეორია იკვეთება. გარდა ამისა, სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა.

შესაბამისად, სააგენტო განცხადებაში/საჩივარში მოყვანილ ფაქტებსა და მტკიცებულებებს გააანალიზებს შესაბამისი ბაზრის შესახებ მის ხელთარსებულ ეკონომიკურ თუ სხვა ტიპის ინფორმაციასთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ინფორმაციის ერთობლიობის საფუძველზე, სააგენტო დაადგენს, არსებობს თუ არა გონივრული ეჭვი, რომელიც გაამართლებდა მოკვლევის დაწყებას.

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა მიზნად ისახავს საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარებას. სააგენტოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ანტიკონკურენციული შეთანხმებების გამოვლენა და აღკვეთა, რაც მუდმივი პროცესია და მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სხვადასხვა პროდუქციულ ბაზარზე დაკვირვებას, ინფორმაციის ანალიზს და, საჭიროების შემთხვევაში, მოკვლევის ჩატარებას და შესაბამისი ეკონომიკური აგენტების წინააღმდეგ კანონით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებას. კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების პროცესში, სააგენტოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თუ მომხმარებლებთან. შესაბამისად, სააგენტო მიესალმება ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც მესამე პირები აწვდიან, განსაკუთრებით, თუკი ასეთი ინფორმაცია სააგენტოს დაეხმარება სამართალდარღვევის გამოვლენაში. კონკურენციის სამართლის აღსრულებაში საზოგადოების მაქსიმალურად ჩართვის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია მომჩივნის სტატუსი.

მომჩივანი არის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს კონკურენციის სააგენტოს. მომჩივანი განიხილება მხარედ და მას ეკისრება მტკიცების ტვირთი, შესაბამისად, ვალდებულია სააგენტოს წარმოუდგინოს დარღვევის შესახებ შესაბამისი მტკიცებულებები. თავის მხრივ, სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, უკვე არსებული და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოგროვებული ინფორმაციის ერთობლიობით წყვეტს საჩივრის დასაშვებად ცნობის, ე.ი. მოკვლევის დაწყების საკითხს. დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას, სააგენტო ეყრდნობა გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს მომჩივნის ფორმალურ სტატუსს. მომჩივანს კონკურენციის კანონმდებლობის (შესაძლო) დარღვევის შედეგად უნდა ადგებოდეს ზიანი და მასვე ევალება შესაძლო სამართალდარღვევის შესახებ

მტკიცებულებების წარმოდგენა. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც კი, ევროკომისიას აქვს მოკვლევის დაწყების შესახებ დისკრეცია.

ევროკავშირში, ფორმალურად დასაშვებ საჩივარს (რომელიც შევსებულია კომისიის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით) შესაძლოა ეთქვას უარი დაუსაბუთებლობის გამო, როდესაც ის არ/ვერ წარმოადგენს მინიმალურ წინასწარ (*prima facie*) მტკიცებულებასაც კი, რაც დაადასტურებდა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე ან 102-ე მუხლების დარღვევის ერთ ან რამდენიმე წინაპირობას<sup>4</sup>.

ევროკომისიის ნოტა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ განმარტავს, რომ „კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ ფაზის დროს, კომისია ამოწმებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ მოკვლევას [...]“. ასევე, „პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე შეწყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ისინი არ იმსახურებენ შემდგომ შესწავლას“.

ევროკომისიის ნოტა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ საჩივრებზე რეაგირების შესახებ განმარტავს, რომ „საჩივრის მიღების პირველ ეტაპზე, კომისია შეისწავლის საჩივარს და აგროვებს დამატებით ინფორმაციას, იმის გადასაწყვეტად, თუ რას მოიძიებდნენ შემდგომ. ამ დროს ხდება ინფორმაციის არაფორმალური გაცვლა კომისიასა და საჩივრის ავტორს შორის, სადაც უფრო დეტალურად დგინდება საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და იურიდიული საკითხები. ამ დროს, კომისიას შეუძლია, უკვე გამოხატოს პირველადი პოზიცია საჩივრის შესახებ, რაც საშუალებას მისცემს საჩივრის ავტორს, განავრცოს ან/და დააზუსტოს იგი“.

ზემოხსენებული ნოტა ასევე იმეორებს, რომ „ევროკომისია არ არის ვალდებული, ყველა საჩივრის შესახებ მოკვლევა დაიწყოს“ და რომ „იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს ფორმა C-ის<sup>5</sup> მოთხოვნებს, მაგრამ საკმარისად ვერ ასაბუთებს მასში აღნიშნულ ბრალდებებს, კომისიას ამ საფუძვლით მისი უარყოფა შეუძლია“.

დაბოლოს, კონკრეტული საჩივრის უარყოფა არ ნიშნავს იმის დადგენას, რომ საჩივარში დასმული საკითხები (მატერიალური კუთხით) არ არღვევს 101/102 მუხლებს.

---

<sup>4</sup> Antitrust Manual of Procedures, Internal DG Competition working documents on procedures for the application of Articles 101 and 102 TFEU, March 2012; თავი 21-ე, წარმოება საჩივართან დაკავშირებით, ნაწილი 3.1.2; (იხ. [http://ec.europa.eu/competition/antitrust/information\\_en.html](http://ec.europa.eu/competition/antitrust/information_en.html) ).

<sup>5</sup> Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. [http://ec.europa.eu/competition/consultations/2010\\_best\\_practices/best\\_practice\\_articles.pdf](http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf) ), პარა. 11-12.

<sup>6</sup> Commission Notice on the handling of complaints by the Commission under Articles 81 and 82 of the EC Treaty, (ამჟამინდელი 101 და 102 მუხლები; იხ. [http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52004XC0427\(04\)](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52004XC0427(04)) ), პარა. 47, 53 და 55.

<sup>7</sup> ევროკომისიის მიერ დადგენილი საჩივრის ფორმა.

ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ კომისიამ ამ ეტაპზე აღნიშნული საჩივარი დაუსაბუთებლად ჩათვალა, რაც არ გამორიცხავს მოგვიანებით კომისიის, ეროვნული კონკურენციის ორგანოს ან სასამართლოს მიერ იმავე საფუძვლით დარღვევის დადგენას<sup>8</sup>.

საქართველოს კანონმდებლობა, ევროკავშირისგან განსხვავებით, სააგენტოს უდგენს ფორმალურ ვალდებულებას, მოახდინოს რეაგირება ნებისმიერ შემოსულ საჩივარზე, კერძოდ, შეაფასოს მათი ფორმალური და შემდგომში, მატერიალური დასაშვებობა. თუმცა, ასევე თანაბრად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა სააგენტოს ანიჭებს კონკურენციის პოლიტიკის დამოუკიდებლად განხორციელების უფლებამოსილებას. წარმოუდგენელი იქნებოდა, სააგენტოს ნებისმიერი განცხადების შესახებ მოკვლევის დაწყება რომ ევალებოდა.

განსახილველ შემთხვევაში, მომჩივანი ეკონომიკური აგენტი არ უთითებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კონკრეტულ სახეს, შესაბამისად, სააგენტომ, საჩივარში აღწერილი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, იმსჯელა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებზე.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ჩრილში დაკვალიფიცირებისთვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:

- ა) ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს;
- ბ) ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;
- გ) ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს;

დ) სახეზე უნდა იყოს მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქმედების შემადგენლობა. კერძოდ, კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს.

ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, კი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება.

განსახილველ შემთხვევაში, მომჩივანი მხარის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი მასალების ანალიზის შედეგად, არ იკვეთება, თუ რა არის Apple-ის სავაჭრო ნიშნის არამართლზომიერად გამოყენების ფარგლები და რა სტატუსით გამოდიან მომჩივანი და მოპასუხე ეკონომიკური აგენტები აღნიშნულ ურთიერთობაში. კერძოდ, საქსტატის მიერ

---

<sup>8</sup> იხ. Commission Notice on the handling of complaints by the Commission under Articles 81 and 82 of the EC Treaty, პარა. 72.



მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქართველოში დაცული სასაქონლო ნიშნებიდან არც მომჩივანი და არც მოპასუხე ეკონომიკური აგენტები არ წარმოადგენენ „Apple Inc.“ კუთვნილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების მფლობელებს და არც ერთი მათგანი არ უარყოფს, რომ არ არიან Apple-ის ოფიციალური წარმომადგენლები საქართველოში. შესაბამისად, სავაჭრო ნიშნის გამოყენების უფლების ნაწილში, ისინი არ წარმოადგენენ ერთმანეთის კონკურენტებს.

ამასთან, ყურადსაღებია გარემოება, თუ რამდენად არის კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილი, შეაფასოს, აქვს თუ არა ადგილი სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენებას, მაშინ როდესაც სავარაუდო დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენების ფაქტით დაზარალებულ სუბიექტს, თეორიულად, შესაძლოა, წარმოადგენდეს ის კომპანია, რომელიც არის Apple-ის ოფიციალური წარმომადგენელი და რომელსაც ადგება ზიანი კონკურენტის ქმედების შედეგად.

მეორეს მხრივ, რომ დადგინდეს ეწინააღმდეგება თუ არა რაიმე ქმედება საქმიანი ეთიკის ნორმებს ან/და ლახავს თუ არა კონკურენტებისა და მომხმარებლების ინტერესებს, საჭიროა განისაზღვროს, რა ფარგლებში არის კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილი, შეაფასოს ესა თუ ის ქმედება. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო არ არის უფლებამოსილი, დაადგინოს რა არის Apple-ის სახელის გამოყენების მართლზომიერების ფარგლები, რა არის ზღვარი, რომლის მიღმაც პირი არღვევს სხვა პირის დაცული სამართლებრივი სიკეთის საზღვარს. ასევე, არ იკვეთება, რამდენად წარმოადგენს მომჩივანი კომპანია უფლებამოსილ სუბიექტს, რომელსაც შეუძლია იდავოს სხვა პირის სასაქონლო ნიშნის მითვისებაზე.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ მომჩივანი მხარის მიერ, რომელსაც ეკისრება მტკიცების ტვირთი, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია/მტკიცებულებები, რომელიც კონკურენციის სააგენტოს მისცემდა შესაძლებლობას, შეეფასებინა ქმედება და განესაზღვრა სუბიექტების სამართლებრივი სტატუსი. კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში, მომჩივანი მხარე ვერ უთითებს, თუ რა სახის ზიანი ადგება მას მოპასუხის ქმედების შედეგად და ეს ზიანი არის თუ არა მისთვის, როგორც მოპასუხე მხარის კონკურენტისთვის მიყენებული.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხის ქმედების შედეგად, მომჩივანი მხარისათვის მიყენებული ზიანის ფაქტი, ასევე, არ დასტურდება სააგენტოს ხელთარსებული ინფორმაციით: როგორც ჩვენთვის ცნობილია, მომჩივანი და მოპასუხე ეკონომიკური აგენტები მოქმედებენ ერთსა და იმავე სასაქონლო ბაზარზე, დაახლოებით, ერთსა და იმავე საფასო სეგმენტში. შესაბამისად, მაღალი ალბათობით, მათი პოტენციური მომხმარებლები წარმოადგენენ ერთსა და იმავე სუბიექტებს. მომჩივანი მხარის არგუმენტი, იმასთან დაკავშირებით, რომ „ფეისბუქ გვერდი“ iTechnic Apple Store Tbilisi-ს 133 000 მომხმარებელი წარმოადგენდა მოპასუხე მხარის მიერ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შედეგად გადაბირებულ პირს, არ არის სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული, რადგან არ დასტურდება - აღნიშნული პირებიდან რამდენი არის მხოლოდ მომჩივანის ან მხოლოდ მოპასუხის მომხმარებელი, რა იყო ის ძირითადი გარემოება, რის

გამოც სუბიექტები ირჩევდნენ რომელიმე ხსენებულ კომპანიას და რა სახის ზიანი ადგება შპს „აიპლუსს“ მოპასუხე ეკონომიკური აგენტის ქმედებით.

როგორც სააგენტოსთვის ცნობილია, მოპასუხე მხარემ არაერთხელ გააკეთა საჯარო განცხადება, რომ იგი არ წარმოადგენს Apple-ის ოფიციალურ წარმომადგენელს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მისი პოზიციით, მომჩივანი ეკონომიკური აგენტი თავადაც ახორციელებს იმ ქმედებებს, რაშიც მას სდებს ბრალს (მაგ: მაღაზიის დასახელება 2016 წლამდე - iPhone+, Apple-ის ლოგოს გამოყენება და ა.შ.) ამასთან, სააგენტოსთვის არ არის ნათელი, თუ რას აქცევს მომხმარებელი ყურადღებას პროდუქციის შექმნისას - კომპანიის მიერ გაკეთებულ საჯარო განცხადებას, თუ მის „ფეისბუქ გვერდზე“ განთავსებულ სადავო ინფორმაციას.

შესაბამისად, საქმის მასალებზე დაყრდნობით, არ დგინდება შპს „აიპლუსისთვის“ მიყენებული ზიანის სახე და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და მომჩივანის მიერ განცდილ სავარაუდო ზიანს შორის. ასევე, არ არის ნათელი, ზიანის თაობაზე ინფორმაციის წარმოუდგენლობის პირობებში, არის თუ არა შპს „აიპლუსი“ უფლებამოსილი სუბიექტი, სააგენტოში წარმოადგინოს საჩივარი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სააგენტო ადგენს, რომ საქართველოში დღეს მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების გათვალისწინებით, არ არსებობს გონივრული ეჭვი მოკვლევის დასაწყებად, ვინაიდან, მომჩივანი მხარის მიერ არ არის წარმოდგენილი სათანადო ინფორმაცია/მტკიცებულებები, რომელიც გამოკვეთდა ქმედების სამართლებრივ ბუნებას და სუბიექტების სტატუსს. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საჩივრის დასაშვებობის შემოწმების პროცესში, სააგენტო შეზღუდულია კანონით განსაზღვრული ვადით.

ამასთანავე, საჩივარზე უარის თქმა არ ნიშნავს, რომ სააგენტო მხედველობაში არ იღებს მასში მითითებულ ფაქტებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჩივრის დაუშვებლად ცნობა არ უთანაბრდება მასში მოყვანილი შესაძლო სამართალდარღვევის არარსებობის შესახებ დასკვნას. სააგენტო, ნებისმიერ დროს, გონივრული ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ან ახლად აღმოჩენილი/ახლად გამოვლენილი გარემოების არსებობის პირობებში, ახალი განცხადების/საჩივრის საფუძველზე, ასევე, საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილია დაიწყოს მოკვლევა შესაბამის ბაზარზე.

## სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17<sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, 24-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით

დამტკიცებული პროცედურის მე-12 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

#### სააგენტომ დაადგინა:

1. შპს „აიპლუსის“ 2017 წლის 4 იანვრის N01/01 საჩივარი არ იქნას დასაშვებად ცნობილი.
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (1 თვე) და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნოდარ ხადური

თავმჯდომარე

